ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4588029

ნომერი: AR1691064

თარიღი : 30.06.2019

გაცემის თარიღი : 15.07.2019

გაცნობის თარიღი : 20.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი კახაბრიშვილი პ/ნ 01024065351
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 14, ბინა 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 30 ივნისის AR1691064 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.14.16.014.407) ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდება ლანდშაფტურსარეკრეაციო ზონა ' (ლსზ'), რომელიც მოიცავს როგორც წესი თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას; დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, საკულტო შენობა–ნაგებობების განთავსება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე.
აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა მოქმედი კანონმდებლობით დასაშვები არ არის.
აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ: მისასვლელი საავტომობილო გზის სქემა, საკადასტრო საზღვრების დატანით.
ასევე წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა გზის მოწყობის თაობაზე.

2. არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი :
თქვენ მიერ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არ უნდა შეიცავდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ლოგოს და სათაურს „ქ. თბილისის მერია სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური“;

3. ვინაიდან წარმოდგენილი ტოფოგრაფიული გეგმიდან დგინდება რომ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხე-ნარგავები, წარმოსადგენია საპროექტო შენობის განთავსების სქემა და გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს, (გაითვალისწინეთ, რომ მანძილი ხიდან შენობამდე მითითებული უნდა იყოს ხის ძირიდან) ხოლო ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს.

4. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სააქციო საზოგადოება ,,თელასი“-ს ხაზობრივი ნაგებობა(ს.კ. N 01.00.837), საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით როგორც წერილობითი, ისე დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენ-გეგმა) სახით.

5. თქვენ მიერ წარმოდგენილი გამწვანების პროექტი გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში შესაბამისი პოზიციის დასაფიქსირებლად, რომელიც გეცნობათ დამატებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.